დედაენის დღისადმი მიძღვნილი საგრანტო კონკურსი

,,ჩემი ენა - ქართული”

დედაენის დღესთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს საგრანტო კონკურსს - ,,**ჩემი ენა - ქართული“.**

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია, დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა და დედაენის დღის აღნიშვნის ხელშეწყობა, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების (შემდგომში - დიპლომატიური წარმომადგენლობა) აქტიური ჩართულობით.

მონაწილეობის უფლება

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:

- საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს;
- ქართულ საკვირაო სკოლებს;
- საზღვარგარეთ მოქმედ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიმართულებით;
- სულ მცირე ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ და ადგილსამყოფელ ქვეყანაში არანაკლებ შემდგომი ექვსი თვის მანძილზე ცხოვრების უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს.

დაფინანსების მიმართულებები

დაფინანსდება პროექტები, რომლებიც:

- აერთიანებს როგორც დისტანციურ, ისე არადისტაციური ფორმატის აქტივობებს;
- ითვალისწინებს საგანმანათლებლო, კულტურულ და შემოქმედებით აქტივობებს (გაკვეთილები, კონკურსები, წარმოდგენები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები და სხვა);
- ემსახურება ქართული ენის სწავლებასა და პოპულარიზაციას;
- ხელს უწყობს ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას;
- უზრუნველყოფს საკვირაო სკოლების მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას;
- ხელს უწყობს პროექტის მონაწილეთა თანამშრომლობის გაღრმავებას დიპლომატიური წარმომადგენლობებთან;

გრანტის ოდენობა

- თითოეული პროექტის მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს არაუმეტეს 15 000 ლარს.

განაცხადის წარდგენა

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- შევსებული განაცხადის ფორმა;
- განმცხადებლის საქართველოს მოქალაქის მოქმედი პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ადგილსამყოფელ ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროექტის დეტალური აღწერა;
- ბიუჯეტი.

<u>განაცხადები მიიღება 2026 წლის 14 მაისის ჩათვლით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:</u>
diaspora@mfa.gov.ge

შეფასების კრიტერიუმები

პროექტების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება შემდეგ კრიტერიუმებს:

- დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობის ხარისხი;
- პროექტის მოსალოდნელი შედეგი;
- პროექტში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის დონე;
- ინოვაციურობა და მდგრადობა;
- განხორციელებადობა და ბიუჯეტის გამართულობა.

შედეგების გამოცხადება

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2026 წლის 26 მაისს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

ელფოსტა: diaspora@mfa.gov.ge
ტელეფონი: (+995 32) 294 5000